ა(ა)იპ თეგეტა გრინ პლანეტ
N(N)LE TEGETA GREEN PLANET

TEGETA
GREEN PLANET

N 24

06/03/2026

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თეგეტა გრინ პლანეტის“**
**დირექტორის შალვა აბვლედიანის**
**მის.: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 129**
**ელ. ფოსტა: info@tgp.ge**

**წერილი**

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2025 წლის 25 ივლისს №46 წერილით წარდგენილი გვქონდა სკრინინგის განცხადება №7335, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში 10 (ათი) ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის შესახებ.

მოცემულ განაცხადთან დაკავშირებით, 2025 წლის 09 სექტემბერს მივიღეთ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/8826 წერილი, რომლითაც გვეცნობა, რომ 10 (ათი) ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის განთავსება შენობის სახურავზე მიზანშეწონილი არ არის და, შესაბამისად, სააგენტომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის $5^1$ ნაწილის საფუძველზე შეწყვიტა წარმოება.

ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტის“ 2025 წლის 22 სექტემბრის №61 წერილით, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა დამატებით განემარტა, არსებობდა თუ არა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც კრძალავდა ან ზღუდავდა სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობას შენობის სახურავზე, ვინაიდან ასეთი შემზღუდავი ფაქტორების შესახებ ჩვენთვის ცნობილი არ იყო.

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტის“ 2025 წლის 22 სექტემბრის №61 წერილზე პასუხი არ მიგვღია, განმეორებით გთხოვთ მოგვაწოდოთ ამავე წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, მიმდინარე ეტაპზე დამატებით ვგეგმავთ, სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთების) დროებითი შენახვის ობიექტის (რეზერვუარების) გარშემო ბარიერების მოწყობას (იხილეთ განახლებული ნახაზი), რომელიც რეზერვუარიდან ზეთების დაღვრის შემთხვევაში გამორიცხავს მის გარემოში მოხვედრას და გაჟონვის შემთხვევაში, ასრულებს შემაკავებელ ფუნქციას.

საქართველო, 0131 ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი N 129
ტელეფონი: +995 591 50 50 33
საიდ/კოდი: 405523161
INFO@TGP.GE

D. AGMASHENEBELI ALLEY #129
0131 TBILISI, GEORGIA
TEL: +995 591 50 50 33
IDENTI/CODE : 405523161
INFO@TGP.GE

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„06“ 03 2026 წ.
№ 3328

ამდენად, გთხოვთ წინამდებარე წერილით წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ხელახლა განიხილოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება №7335 და გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

დანართი:

1. სკრინინგის განცხადება №7335;
2. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 09 სექტემბრის №21/8826 წერილი;
3. ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტის“ 2025 წლის 22 სექტემბრის №61 წერილი;
4. საპროექტო ტერიტორიის ნახაზი.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

**პატივისცემით,**

eSigned by:
შალვა ახვლედიანი: 79b37016 9c12 483b 9e08 ...
Certified by Signify

**შალვა ახვლედიანი**
**დირექტორი**